საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/96

ქ. ბათუმი 12 აგვისტო , 2020 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მეფუტკრე" (2018 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის დაცვის კომისიის შექმნისა და პრაქტიკის დაცვის ადგილისა და დროის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/12 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამებზე 2019 წლის შემოდგომაზე სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ" 2019 წლის 9 სექტემბრის №01-02/139 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 06 ივლისის N 01-02/74 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2020 წლის 11 აგვისტოს N 679652 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მეფუტკრე" (2018 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა მიერ **საწარმოო პრაქტიკის დაცვის კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

   ა) გულადი ფარტენაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის თავჯდომარე;
   ბ) ლელა ვერძაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი, კომისიის წევრი, მდივანი;
   გ) რომან მარგალიტაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი;
   დ) თეიმურაზ გორგილაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი;
   ე) ომარ ნაკაშიძე - მეფუტკრე, დამსაქმებელი.

2. განისაზღვროს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეფუტკრე" პროფესიულ სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის დაცვის ვადები და ადგილმდებარეობა: 2020 წლის 19 აგვისტო, 14.00 საათზე, ქ. ბათუმში, ნინოშვილის/რუსთაველის 32/35, I კორპუსი, III სართული, ოთახი № 55.
3. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს:
   ა) წინამდებარე ბრძანებით დადგენილი ვადების შესახებ ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსება;
   ბ) წინამდებარე ბრძანებით დადგენილი ვადების შესახებ ბსუ-ს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, კომისიის წევრებისა და პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება, ელექტრონული ფოსტის შესაბამის მისამართებზე შეტყობინების გაგზავნით.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, შიდა აუდიტის სამსახურს).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**